



პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 7 21 0000077942



09/02/2021

„სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N08 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N08 გადაწყვეტილების დანართი N1-ში და ჩამოყალიბდეს ამ გადაწყვეტილებაზე თანდართული დანართ N1-ის შესაბამისად.

2. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად საბჭოს 2021 წლის 08 თებერვლის №76384 სხდომის ოქმის №3 ნაწილი (დანართი №2).
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2) ცენტრის ვებგვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული
განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლორია ხათუნა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული
განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კასრაძე იზა



№	ინფორმაცია პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შესახებ	
1	პროგრამის დასახელება	მოხელის მენეჯერული უნარები
2	სტატუსი	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	15.11.2019 გადაწყვეტილება N08
4	სწავლების მეთოდი / ფორმა	საკლასო მეცადინეობა
5	საათების რაოდენობა	35 საათი და 45 წუთი
6	განხორციელების ადგილი	<ol style="list-style-type: none"> 1. ქეთევან წამებულის გამზირი N96, 0144, თბილისი, საქართველო; 2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (გორი, ჭავჭავაძის ქ,N53. ს.კ. 66.45.21.121). 3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ.ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის ქ N35/32/ ს.კ. 05.23.03.004). 4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (მის: ზუგდიდი, ჯანაშიას N14, ს.კ. 43.31.61.352). 5. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ.თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. N1; უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსი, I სართული, ს.კ. 53.20.42.052). 6. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N122ა; ს.კ. 62.09.60.118; აუდიტორია 203). 7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (ქ.ქუთაისი, თამარ მეფის ქ. N59; ს.კ. 03.03.27.318; აუდიტორია 1114 და 1119). 8. შპს ქუთაისის უნივერსიტეტი (ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. N13; ს.კ. 03.03.26.123).
7	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	09.02.2021

8	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
9	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	22.11.2024